

დანართი MG1 - ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო
Attachment MG1 - Environmental and Social Management Framework-ESMF – pg. 56



**ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების
მართვის ჩარჩო**

**საქართველოს ეროვნული ინოვაციური
ეკოსისტემის პროექტისთვის**

თბილისი 2015

სარჩევი

ტერმინთა საძიებელი	3
თავი 1. შესავალი	4
თავი 2. პროექტის აღწერა	7
თავი 3. სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო	10
თავი 4. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება პროექტის პირველი კომპონენტის ფარგლებში	13
თავი 6. ბუნებრივ და სოციალური გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება	18
თავი 7. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შერბილება	21
თავი 8. საჯარო კონსულტაცია	25
თავი 9. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი და ანგარიშგება	27
თავი 10. საჩივრების განხილვის მექანიზმი	28
დანართები	29

ტერმინთა საძიებელი

საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრი (CIC)
კონკურენტული ინდუსტრიისა და ინოვაციების პროგრამა (CIIP)
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო (ESMF)
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა (ESMP)
გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA)
გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები (EMPs)
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI)
საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA)
საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემა (GENIE)
საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT)
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MoESD)
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (MoENRP)
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP)
პროექტის მართვის ჯგუფი (PMG)
ინოვაციების რეგიონული ჰაბი (RIH)
კვლევა და განვითარება (R&D)
მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs)
სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია (SDS)
ტექნიკური დახმარება (TA)
მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WBG)
მსოფლიო ბანკის საჩივრების განხილვის სამსახური (GRS).

თავი 1. შესავალი

საქართველო არის ქვეყანა რომელიც ევრაზიიში, კერძოდ კი კავკასიის რეგიონში მდებარეობს. რამდენადაც, საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გასაყარზე მდებარეობს, ის ესაზღვრება აღმოსავლეთითიდან შავი ზღვის სანაპიროს, ჩრდილოეთითიდან რუსეთს, სამხრეთიდან თურქეთსა და სომხეთს, და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანს. ქვეყნის დედაქალაქი და უდიდესი ქალაქია თბილისი. მის მიერ დაკავებული ტერიტორიის ფართობი 69,700 კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობა ბოლო აღწერის მონაცემებით 3.7 მილიონს შეადგენს. საქართველო უნიტარული, ნახევრად-საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, რომლის მთავრობა არჩეულია წარმომადგენლობითი დემოკრატიის გზით. საქართველო ცნობილია, როგორც "აბრეშუმის გზის" ერთ-ერთი მთავარი კარიბჭე. მისი სტრატეგიული გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა აზიასა და ევროპას შორის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა ბიზნესის ახალი დარგების განვითარებისა და რეგიონში ინვესტიციების მოსაზიდად.

საქართველოს მთავრობა ცდილობს ხელი შეუწყოს ქვეყნის ინკლუზიურ ზრდას, განავითაროს ინოვაციებზე ორიენტირებული და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. ინკლუზიური ზრდის დღის წესრიგი, რომელიც მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2020 წლის სტრატეგიაშია (SDS) განსაზღვრული, ითვალისწინებს ადამიანური კაპიტალის გაძლიერების, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლების პროცესის ხელშეწყობას. აღნიშნული პროცესის კი მცირე და საშუალო ბიზნესზე აქცენტირების, დაფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდისა და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მეშვეობით არის შესაძლებელი. პირობების აღნიშნული გაუმჯობესება შეამცირებს ეკონომიკის ამჟამინდელ დამოკიდებულებას სახელმწიფო ინვესტიციებზე, როგორც ზრდის ძირითად წყაროზე. მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს, რომ განავითაროს პოტენციური შესაძლებლობები, მომსახურების სფეროები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა ინოვაციური, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ამისათვის კი, აუცილებელია მოიხსნას კერძო სექტორსა და ინოვაციური ზრდის სფეროში არსებული ძირითადი საკანონმდებლო, მარეგულირებელი და ინსტიტუციური შეზღუდვები. აგრეთვე მნიშვნელოვანია ინოვაციური საწარმოების ზრდის ხელშეწყობისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნას შესაბამისი სამსახურები და ინფრასტრუქტურა, რაც სამუშაო ძალის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უზრუნველყოფს.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა ინოვაციების დარგში, შეიქმნა შესაბამისი პროფილის სააგენტო -

საქართველოს ინოვაციების დ ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) და დამტკიცდა კვლევებისა და ინოვაციების საბჭო, რომელიც საქართველოს ინოვაციური ეკოსისტემის საფუძველს წარმოადგენს.

მსოფლიო ბანკის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის განვითარების პოლიტიკის სამოქმედო (DPO) დოკუმენტის ფარგლებში, 2015 წლის თებერვალში შეიქმნა ეროვნული კვლევებისა და ინოვაციების საბჭო (NRIC), როგორც ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის სტრატეგიული კოორდინატორი. საბჭოს მიზანია სტრატეგიული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ბიზნეს-ინოვაციებს და მათ განვითარებას, კვლევებს, ადამიანური კაპიტალის განვითარებას, ტექნოლოგიების გადაცემას, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და საექსპორტო კალათის განვითარებას, რომელიც შესაბამისობაში იქნება მაღალტექნოლოგიური პროდუქტებისა და მომსახურების მსოფლიო მოთხოვნებთან. საბჭოს გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად, შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავების პროცესში, გამოვლენილი შეუსაბამოების შემცირება და შემდგომი საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მიღება უმოკლეს ვადებში. რეფორმათა ეს „მეორე თაობა“ მიზნად ისახავს ინოვაციებისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას და ბიზნეს გარემოში არსებული შეზღუდვების აღმოფხვრას, საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ხელშეწყობით, საკუთრებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვით, საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენციის ჩარჩოს შექმნითა და მცირე და საშუალო ბიზნესის დაკავშირებით - ბაზართან, ფინანსურ წყაროებთან და ინფორმაციებთან. აღნიშნული ქმედებები შესაძლებლობას მისცემს საქართველოს, იურიდიულად გასცდეს ბიზნეს გარემოს „პირველი თაობის“ რეფორმებს და განვითარდეს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და უფრო მდგრადი ზრდის მოდელის მიმართულებით, მაღალი - გაზრდილი ღირებულების მქონე პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზით.

მსოფლიო ბანკი, როგორც საქართველოს გრძელვადიანი სტრატეგიული პარტნიორი ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების პროცესში, გამოხატავს მზადყოფნას, დაეხმაროს საქართველოს მთავრობას, აღნიშნული ძალისხმევების სრულყოფაში და წინსვლაში. საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის (GENIE) პროექტი შეავსებს საქართველოში, კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციის სფეროში, მსოფლიო ბანკის ჯგუფის (WBG) საქმიანობას. GENIE-ს პროექტი თავის წვლილს შეიტანს „კონკურენტული ინდუსტრიისა და ინოვაციების პროგრამის“ (CIIP) ტექნიკურ მხარდაჭერაში (2014-2017), რომლის ფარგლებშიც მსოფლიო ბანკის ჯგუფი

ეხმარება საქართველოს კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის შემუშავებაში, განხორციელებაში და ინოვაციური ზრდის დაჩქარებაში. პროექტი ეფუძნება მსოფლიო ბანკის ჯგუფის ანალიტიკურ მონაცემებს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა (ICT) და დასაქმების შესახებ (2014-2015), აგრეთვე ICT-ის როგორც დამხმარე საშუალებას ინოვაციებისა და დასაქმების ხელშეწყობის პროცესში (2013-2014).

პროექტის ზემოქმედება იქნება მყისიერი. კერძოდ, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა განაპირობებს განათლებისა და ცოდნის დონის ამაღლებას და ხელს შეუწყობს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომპანიების ჩამოყალიბებას, რაც განვითარებისა და მდგრადი ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირების პროცესში აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის (GENIE) პროექტის განხორციელებას, ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნათა შესაბამისად. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის ამოცანაა უხელმძღვანელოს GENIE-ს პროექტის განმახორციელებელ ერთეულს ისეთი საიტ-სპეციფიკური სამუშაოების განხორციელებისას, რომელთაც გარკვეული გავლენის მოხდენა შეუძლიათ არსებულ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, მათ შორის, ინდივიდუალური ინვესტიციებისა და საგრანტო წინადადებების გადარჩევის, რისკის მიხედვით მათი კლასიფიკაციის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების იდენტიფიკაციის, უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრის, და ამ შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგის გეგმების შემუშავების პროცესს. იგი ასევე ადგენს პროექტის დაგეგმვასა და მართვაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საფუძველს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ESMF-ის მიზანია ხელი შეუწყოს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებას ან შემცირებას და დადებითი სოციალური შედეგების მაქსიმალურ მნიშვნელობამდე გაზრდას.

თავი 2. პროექტის აღწერა

მიზნები

პროექტის განხორციელების მთავარ მიზანს წარმოადგენს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის კონკრეტული ელემენტების დანერგვა, ეკონომიკაში ინოვაციური აქტივობების დონის გაზრდის გზით. პროექტი მიმართულია ისეთი ყოვლისმომცველი ინოვაციური მიდგომების ფორმირებისაკენ, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ქალაქებსა და სოფლებში ხალხსა და ბიზნესებს მისცემს ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებთან დაკავშირების საშუალებას და ხელს შეუწყობს ინოვაციური სტრატაგიებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. პროექტი, ქვემოთ წარმოდგენილ სამ კომპონენტს შორის ინტეგრირებული მიდგომის დანერგვისა და პროექტის განხორციელების მხარდაჭერის მეშვეობით, უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნულ ინოვაციური ეკოსისტემის გაძლიერებას. პროექტის მიზნების კომპლექსური (ინტეგრირებული) განხორციელებისა და ინოვაციურ ეკოსისტემაში არსებული სხვადასხვა ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მოცმული პროექტის თითოეული კომპონენტი გამოიყენებს სხვა დანარჩენი კომპონენტებით გათვალისწინებულ ქმედებებს და მათ შედეგებს, აგრეთვე სხვა დამატებით (შემავსებელ) პროექტებს. შესაბამისად, პროექტის შემადგენელი კომპონენტები ფოკუსირებულია ინოვაციური ეკოსისტემის ყველაზე კრიტიკულ სფეროებზე.

კომპონენტები

კომპონენტი 1: ინოვაციების ინფრასტრუქტურა


აღნიშნული კომპონენტი ხელს შეუწყობს GITA-ს მიერ გათვალისწინებული ინოვაციების ცენტრების „hub-and-spoke“ ქსელის განვითარებას მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე გაზრდის ფართოზოლოვანი ინტერნეტ-მომსახურების გამოყენებას სოფლად მცხოვრებ ღარიბ ოჯახებში და მცირე და საშუალო საწარმოებში. საბოლოო ჯამში კი, აღნიშნული ინოვაციური და ფართოზოლოვანი ინტერნეტ-მომსახურება უზრუნველყოფს ბენეფიციარებს ფიზიკური სივრცითა და მოწყობილობებით, რაც თავის მხრივ განაპირობებს პროექტით გათვალისწინებული მომსახურების სახეების ხელმისაწვდომობას და ინოვაციურ ეკოსისტემასთან კავშირს. ეს კი, სავარაუდოდ გააქტიურებს მეწარმეობას და ახალი პროდუქციის განვითარებას და შეამცირებს ციფრულ უთანასწორობას (კომპონენტი 1.).

პროექტი დააფინანსებს იმ არსებული საზოგადოებრივი შენობების (სკოლები, ბიბლიოთეკები, და ა.შ.) ნაწილობრივ რეაბილიტაციას, რომელთა შერჩევაც მოხდება, პროექტის ფარგლებში, საზოგადოებრივი ინოვაციის ცენტრებისა (CICs)

და რეგიონული ინოვაციის ჰაბების (RIHs) განსათავსების მიზნით. პროექტის განხორციელების გეგმაში ახალი შენობების მშენებლობის ჩრთავა არ იქნება ნებადართული.

ფართოზოლოვანი ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებლის ზრდა არ გულისხმობს რაიმე ფიზიკურ სამუშაოს. ის მხოლოდ გაზრდის მოთხოვნას ინტერნეტის გამოყენებაზე და დააჩქარებს კომპიუტერიზაციის პროცესს. აქტივობები მოიცავს „cash-back-ის“ ფინანსურ ინსტრუმენტს ტექნიკისათვის, ასევე ვაუჩერებს ინტერნეტ მომსახურებაზე, ციფრული წიგნიერების ამაღლებასა და ელექტრონული კომერციის ტრენინგებზე.

კომპონენტი 1: ინოვაციური ინფრასტრუქტურა



კომპონენტი 2: ინოვაციების მომსახურება

ამ კომპონენტით უმეტეს წილად გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ინოვაციის ცენტრებთან (CICs) და რეგიონულ ინოვაციის ჰაბებთან (RIHs) კოორდინაციის გზით, ისეთი მომსახურების გაწევა, რომელიც მორგებული იქნება იმ პროექტების ბენეფიციარებზე, რომლებიც ინოვაციების ეკოსისტემის სხვადასხვა ეტაპზე/დონეზე იმყოფებიან. პროექტით გათვალისწინებული ქმედებები ხელს შეუწყობს ინოვაციების შესახებ CICs-სა და „RIHs-ის“ პოტენციური მომხმარებლების ცნობიერების ფუნდამენტურ დონეზე ამაღლებას და მათთვის ძირითად მომსახურების გაწევას (პროექტისა და GITA-ს მხარდაჭერით). აღნიშნული გულისხმობს ცნობიერების ამაღლებას ინოვაციების მიმართულებით და ისეთი მეწარმეების გამოვლენას, რომლებიც მანამდე არ იყვნენ საზოგადოებისთვის ცნობილი. აგრეთვე საჭიროებების გამოვლენის და

შეფასების მიზნით კვლევების ჩატარებას და შესაბამისი კონკურსების, ღონისძიებებისა და ტრენინგების ორგანიზებას.

კომპონენტი 3: ინოვაციების დაფინანსება

ეს კომპონენტი დააფინანსებს კერძო საწარმოების წილობრივ გრანტებს ინოვაციური პროდუქციის, საწარმოო მეთოდოლოგიის და მომსახურების სფეროების შესამუშავებლად. პროექტით გათვალისწინებულია თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის რომელიც დაფინანსდება მაქსიმუმ 100'000 ლარით, მაქსიმუმ 1 წლის ვადაში, ხოლო განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მინიმუმ 10%-იანი თანადაფინანსება.

კომპონენტი 4: პროექტის განხორციელების მხარდაჭერა

ეს კომპონენტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს პროექტის ყველა კომპონენტის ქმედითი და ეფექტიანი განხორციელება. ეს გულისხმობს კონსულტანტებს, რომლებიც მონაწილეობენ პროექტის მართვაში, კომპონენტების ტექნიკურ განხორციელებში, შესყიდვებში, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ფინანსურ მართვაში, და მონიტორინგისა და შეფასებაში (M&E). პროექტი ასევე დააფინანსებს შემდეგი საკითხების შემუშავებასა და განხორციელებას: (i) შედეგების მონიტორინგის ინსტრუმენტები; (ii) M&E შესწავლა/კვლევები პროექტის შედეგების ინდიკატორების საბაზისო მონაცემების დასადგენად და პროექტის განხორციელების პროცესში მათი პროგრესის შესაფასებლად; (iii) პროექტის შერჩეული აქტივობების ზემოქმედების შეფასება.

თავი 3. სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო

ეროვნული კანონმდებლობა

საქართველოში გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემის პროცედურას არეგულირებს სამი ძირითადი კანონი. ესენია: (i) საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (2005); (ii) საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2007), და (iii) საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007). ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრულია ლიცენზიების ორი სახეობა: ლიცენზიები ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი საქმიანობების განხორციელებისათვის და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რესურსებით სარგებლობისთვის. საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ განსაზღვრავს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, შესწორების და გაუქმების პროცედურებს (მუხლი 1, პუნქტი 1).

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ და „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონები მიღებულ იქნა 2007 წელს და ძალაში შევიდა 2008 წელს. ამ ახალმა კანონმა გააერთიანა ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულ ყველა ცვლილება. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობების და პროექტების სრული ნუსხა (მუხლი 4, პ.1,) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სამართლებრივი საფუძვლები.

კანონის თანახმად ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებთან დაკავშირებული მშენებლობა ან არსებული საწარმოო ტექნოლოგიის შეცვლა განსხვავებული ტექნოლოგიით, რაც იწვევს ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, ასევე განიხილება, როგორც ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა. იგივე ობიექტებთან დაკავშირებული რეგულარული პროფილაქტიკური/სარემონტო სამუშაოები არ საჭიროებს ეკოლოგიურ ექსპერტიზას და ნებართვებს. ფიზიკური სამუშაოები, რომლებიც განხორციელდება საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის (GENIE) პროექტის მხარდაჭერით არ ხდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობების სიაში და შესაბამისად, არ საჭიროებენ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

საქართველოს მთავრობამ ახლახანს მიიღო ნარჩენების მართვის კოდექსი (2015), რომელიც არეგულირებს ნარჩენების მართვის სხვადასხვა ასპექტებს და მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნარჩენების უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისკენ. აღნიშნული კოდექსი იძლევა იურიდიულ საფუძვლებს ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირებისა და მათი ხელახალი გამოყენების/გადამუშავებისთვის. ის არეგულირებს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ისეთ ეტაპებს, როგორიცაა ნარჩენების შეგროვება, განცალკევება, ტრანსპორტირება და უსაფრთხო განთავსება მათი კატეგორიების შესაბამისად. კოდექსი ასევე არეგულირებს ნარჩენების მართვის დაგეგმვასთან, აღრიცხვასთან, განთავსების ნებართვებთან და ამ პროცესების კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებს. კოდექსის მიხედვით, მისი ერთ-ერთი პრინციპია „დამაბინძურებელი იხდის“. *ნარჩენების მართვის კანონის შესაბამისად GENIE პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების მწარმოებლებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირება და მათი კონკრეტული ფრაქციების რეციკლირება (ხელახალი გადამუშავება). საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვედრებარებაში მოქმედი მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან კონსულტაციების და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე სამშენებლო ნარჩენების განთავსება უნდა მოხდეს სამშენებლო მოედნებთან ახლოს მდებარე ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე.*

მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში ამოქმედებული გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა

პროექტი დააფინანსებს შენობების რეაბილიტაციის ფიზიკურ სამუშაოებს, რომელმაც შეიძლება გარკვეული სახის უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს არსებულ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. შესაბამისად, პროექტი ამოქმედებს მსოფლიო ბანკის გარემოზე ზემოქმედების შეფასების *სამოქმედო პოლიტიკას* OP/BP 4.01. ვინაიდან, პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ ფიზიკურ სამუშაოებთან დაკავშირებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის რისკები დაბალია, და ისინი პროექტის ტერიტორიით და სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდით შემოიფარგლება, პროექტს მიენიჭა გარემოსდაცვითი კატეგორია "B". მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობის თანახმად პროექტის ფარგლებში დაფინანსებული აქტივობები არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და ნებართვას, OP/BP 4.01 მოითხოვს დადგენილი საქმიანობების წინასწარ გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას, მათ შორის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის დაგეგმვასა და მონიტორინგს. წინამდებარე ESMF

იმღევა დეტალურ ინსტრუქციას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგის, კლასიფიკაციის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების და მათი განხორციელების მონიტორინგის გეგმების შემუშავების პროცედურების უზრუნველსაყოფად; ასევე, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას მათზე გარემოსდცვითი და სოციალური ზედამხედველობის უზრუნველყოფის თაობაზე,

პროექტისთვის გამოყოფილი ფინანსური წყაროები ხელმისაწვდომი იქნება არსებული საზოგადოებრივი შენობების კეთილმოწყობისთვის (განახლების), რომლებშიც განთავსდება რამდენიმე რეგიონული ინოვაციის ჰაბი (RIHs) და მრავალი საზოგადოებრივი ინოვაციის ცენტრი (CICs). ეს შეიძლება იყოს ბიბლიოთეკის შენობები, სკოლები და სხვა მსგავს დაწესებულებები. იმ შემთხვევაში, თუ ამ შენობიდან რომელიმე აღმოჩნდება კულტურული/ისტორიული მნიშვნელობის/ღირებულების მქონე ნაგებობა, მაშინ საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის (GENIE) პროექტისთვის ამოქმედდება და გამოყენებულ იქნება მსოფლიო ბანკის სამოქმედო პოლიტიკა OP/BP 4.11 - *ფიზიკური კულტურული რესურსები. შეაბამისად*, სავალდებულო იქნება წინამდებარე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტით (ESMF) განსაზღვრული კონკრეტული პროცედურების დაცვა.

თავი 4. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება პროექტის პირველი კომპონენტის ფარგლებში

სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოზე და სოციალური გარემოზე ზემოქმედების სკრინინგი:

პროექტი დააფინანსებს იმ არსებული შენობების რეაბილიტაციას, რომლებშიც განთავსდება CIC-ები და RIH-ები. თითოეული ინვესტიცია, რომელიც დაფინანსდება პროექტის ფარგლებში, უნდა უნდა ექცეოდეს გარემოსდაცვით "B"¹ კატეგორიაში. პროექტის ფინანსური მხარდაჭერა არ გავრცელდება ისეთ აქტივობებზე, რომლებიც გარემოსდაცვით "A"² კატეგორიას განეკუთვნება. საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის (GENIE) პროექტი არ ამოქმედებს ბანკის სამოქმედო პოლიტიკას OP/BP 4.12 - *არანებაყოფლობით განსახლება*, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი განხორციელების პროცესში მიწის საკუთრებისა და სარგებლობის უფლების დროებით ან მუდმივ ჩამორთმევას არ ექნება ადგილი და შესაბამისად, არ გამოიწვევს არავის საარსებო გარემოს ცვლილებას. სკრინინგის პროცედურა ასევე გამოავლენს, იქონიებს თუ არა პროექტი მიწით, შენობებით და სხვა ქონებით ფორმალური თუ არაფორმალური სარგებლობის უფლების შეზღუდვას და გაფილტრავს ასეთ ინვესტიციებს. პროექტი დააფინანსებს მხოლოდ ისეთ საინვესტიციო აქტივობებს, რომლებიც არ ითვალისწინებს რაიმე სახის იძულებით განსახლებას და მინიჭებული აქვთ გარემოსდაცვითი "B" კატეგორია. სწორედ ასეთ აქტივობებს მიეცემა შემდგომი განხორციელების უფლება.

**ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის დაგეგმვა
სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის:**

მას შემდეგ, რაც საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და საჭიროებისამებრ დაქრავებულ დამოუკიდებელ ექსპერტთან ერთად გამოავლენს და შეარჩევს სტრატეგიულ ლოკაციას, დაგეგმილი სამუშაოებისთვის უნდა მომზადდეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) სამუშაო ვერსია, მსოფლიო ბანკის მიერ *მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო აქტივობებისთვის* შემოთავაზებული შაბლონის გამოყენებით, რომელიც თან ერთვის მოცემულ დოკუმენტს (დანართი III). ESMP მოიცავს გარემოზე

¹ შემოთავაზებული აქტივობა მიეკუთვნება B კატეგორიას, თუ მისი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება ადამიანზე ან ეკოლოგიურად მნიშვნელოვან სფეროებზე, მათ შორის ჭარბტენიან ტერიტორიებზე, ტყეებზე, სამოვრებზე და სხვა ბუნებრივ ჰაბიტატებზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე კატეგორია A პროექტების შემთხვევაში. აღნიშნული ზემოქმედებანი შემოფარგლება საპროექტო მოედნით (საიტ-სპეციფიურია); მხოლოდ მცირე მათგანი შეიძლება იყოს შეუქცევადი; უმეტეს შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებები დაგეგმვა გაცოლებით იოლია ვიდრე A კატეგორიის პროექტებისთვის;

² შემოთავაზებული აქტივობა A კატეგორიას მიეკუთვნება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოდ მას თან ახლავს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, რომლებიც კომპლექსურობით და შეუქცევადობით ხასიათდებიან და/ან მათ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ქონიათ. ამ ზემოქმედების გავრცელების არეალი შეიძლება უფრო ვრცელი იყოს, ვიდრე ფიზიკური სამუშაოების არეალი ან ობიექტია.

ზემოქმედების შემარბილებელ ღწისძიებათა გეგმასა და გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის გეგმას.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) სამუშაო ვერსიას GITA განსახილველად და შესათანხმებლად წარუდგენს, მსოფლიო ბანკს, ბანკისგან თანხმობის მიღების შემდეგ ის გამოქვეყნდება საჯაროდ და განხილება დაინტერესებულ საზოგადოებასთან ერთად. ამის შემდეგ საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან გამოთქმული შეეწინააღმდეგებისა და კომენტარების მიხედვით ESMP შესწორდება საბოლოო სახით და წარედგინება მსოფლიო ბანკს საბოლოო განხილვისათვის. ბანკის თანხმობის მიღების შემდეგ, დოკუმენტის საბოლოო ვერსია ხელახლა გასაჯაროვდება. GITA უზრუნველყოფს ESMP-ების ჩართვას სამშენებლო სამუშაოების ყველა სატენდერო დოკუმენტაციაში. სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს თან უნდა ერთვის ESMP-ების საბოლოო ვერსიები. მშენებელი კონტრაქტორები ვალდებული არიან სამუშაოების განხორციელებისას დაიცვან ESMP-ის მოთხოვნები.

თავი 5. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება პროექტის მე-3 კომპონენტის ფარგლებში

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგის პროცედურა წილობრივი გრანტების პროგრამისთვის:

პროცედურა შედგება შემდეგი საფეხურებისგან:

- სკრინინგი/შერჩევა
- განხილვა და დამტკიცება
- პირობითობა
- მონიტორინგი და ანგარიშგება

სკრინინგი:

თითოეულ საგრანტო განაცხადს თან უნდა ერთვოდეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების *შეფასებული კითხვარი*, რომელიც წარმოდგენილია ESMF-ის დანართი I-ის სახით. აპლიკანტებს მოეთხოვებათ გულახდილად და სწორად აღწერონ მათი საწარმოების გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისობა და შემოთავაზებული აქტივობების შესაძლო დადებითი და უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტი იხილავს შევსებულ კითხვარებს და ლიცენზიის/ნებართვის ასლებს, რომლებიც თან ერთვის ანკეტას (კითხვარს), როგორც ამ ამ კითხვარში წარმოდგენილი ინფორმაციის დასაბუთება. იმ აპლიკანტების საწარმოებში, რომლებიც სავარაუდოდ აბინძურებენ ბუნებრივ გარემოს ან ადამიანის ჯანმრთელობას ან/და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით რისკის შემცველია, წარმოდგენილი ინფორმაციის გადასამოწმებლად შეიძლება ჩატარდეს სავსე ვიზიტი. მსოფლიო ბანკის სამოქმედო პოლიტიკის OP/BP 4.01- *გარემოზე ზემოქმედების შეფასება* - მოთხოვნათა შესაბამისად, GITA საგრანტო განაცხადებს ანიჭებს შესაბამის კატეგორიას. შემდეგი სამი კატეგორიიდან ერთ-ერთს:

- **კატეგორია I** (დაბალი რისკი): საქმიანობები, რომლებიც ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ისეთ უმნიშვნელო ზემოქმედებას იწვევენ, რომ არ საჭიროებენ გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების ზომების შემდგომ გატარებას, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი C კატეგორიას შესაბამეა. *I კატეგორიის საქმიანობებს დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება არ მოეთხოვებათ.*
- **კატეგორია II** (საშუალო რისკი): საქმიანობები, რომელთა მიერ გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ადვილად ამოიცინობა და რომელთა თავიდან ასაცილებლად ან/და შესარბილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას სტანდარტული ღონისძიებები, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით B კატეგორიას შეესაბამება. *II კატეგორიის საქმიანობები ექვემდებარება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის პროცესის წინასწარ*

დაგეგმვას, დადგენილი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას და მათი განხორციელების მონიტორინგს.

- **კატეგორია III** (არ დაფინანსდება): საქმიანობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ რთული, მნიშვნელოვანი ან შეუქცევადი ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედება, რომლის მასშტაბის დადგენა სიღრმისეული კვლევების გარეშე რთულია, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი A კატეგორიას შეესაბამება. ამავე კატეგორიას განეკუთვნება, ის საქმიანობები, რომლებიც მიწის გამოსყიდვას ან/და ფიზიკურ გადაადგილებას, ახალ მშენებლობას, პესტიციდების შეძენას ან/და გამოყენებას მოიცავს, აგრეთვე ის საქმიანობები, რომლებიც შეტანილია IFC აკრძალულ საქმიანობათა ნუსხაში (დანართი II). **III კატეგორიის საქმიანობები პროექტის ფარგლებში არ დაფინანსდება.**

საგრანტო განაცხადებისთვის, რომლებიც გარემოსდაცვით II კატეგორიას (მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი კატეგორია B) განეკუთვნებიან, საჭირო იქნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) მომზადება. წინასწარ შერჩეულ აპლიკანტებს წარედგინებათ ინფორმაცია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგის შედეგებისა და საქმიანობის კლასიფიკაციის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მოეთხოვებათ ESMP-ის შემუშავება.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების (ESMPs) განხილვა და დამტკიცება

საგრანტო პროგრამის ციკლის შემდგომ ეტაპზე GITA-ს წარედგინება სრული საგრანტო წინადადებები. საქმიანობის განაცხადს, რომელსაც სკრინინგის საფუძველზე მიენიჭება გარემოსდაცვითი II კატეგორია, თან უნდა ერთვოდეს ESMP, რომელსაც GITA-ს დახმარებით შეიმუშავენ აპლიკანტი. თუ განმცხადებელი უარს იტყვის ESMP-ს მომზადებაზე, საგრანტო განაცხადი აღარ განიხილება. ESMP-ს ხარისხის კონტროლი GITA-ს მიერ *სრული საგრანტო წინადადებების* განხილვისა და დამტკიცების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამასთანავე, ESMP შესათანხმებლად წარედგინება მსოფლიო ბანკს.

გრანტის მინიჭება

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა (GITA) და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება, გარემოსდაცვითი B კატეგორიის აქტივობებისთვის, გრანტის მიმღებს ავალდებულებს სრულად დაიცვას ESMP-ის მოთხოვნები. ESMP თან დაერთვის აღნიშნულ საგრანტო ხელშეკრულებას. გრანტის მიმღების მიერ ESMP-ის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა გამოიწვევს GITA-ს მხრიდან საჯარიმო სანქციების ამოქმედებას ან/და საგრანტო ხელშეკრულების შეწყვეტას. საგრანტო ხელშეკრულება შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები არ უზრუნველყოფს ზიანის გამოსასწორებელი ქმედებების გატარებას, რომელიც გამოიწვია საქმიანობის ESMP-ისთან შეუსაბამობამ და რომლის განხორციელებაც წინასწარ არის შეთანხმებული აღნიშნულ მხარეებს შორის.

ზედამხედველობა და მონიტორინგი

GITA განახორციელებს საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საქმიანობების ზედამხედველობას. კერძოდ, ოფისში მოხდება გრანტის მიმღების მიერ საქმიანობის განხორციელების პროგრესის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა და შეთანხმება, ხოლო სამუშაოს პროგრესის გადამოწმების მიზნით განხორციელდება ადგილზე ვიზიტი და საქმიანობის სავსელე მონიტორინგი. ზედამხედველობა და მონიტორინგი გულისხმობს გრანტით დაფინანსებული პროექტებისთვის თვალყურის დევნებას მათი გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობის უძრუნველყოფის მიზნით. გარემოსდაცვითი B კატეგორიის საქმიანობების შემთხვევაში მოხდება გრანტის მიმღებთა მიერ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) განხორციელების ყოველთვიური მონიტორინგი, ESMP-ზე თანდართული პროექტ-სპეციფიური მონიტორინგის გეგმების შესაბამისად. გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების საკითხების გამოვლენის შემთხვევაში, GITA გრანტის მიმღებს აძლევს ოფიციალურ გაფრთხილებას და ავალდებულებს მას, უზრუნველყოს ყოველთვიურ მონიტორინგის ანგარიშში მითითებული ზიანის გამოსასწორებელი ქმედებების გატარება, ასევე თვალყურს ადევნებს მათ განხორციელებას. იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები არ უზრუნველყოფს ამ აღდგენითი სამუშაოების გეგმის განხორციელებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს საჯარიმო სანქციები, რომლებიც წინასწარ იქნება გასაზღვრული GITA-სა და გრანტის მიმღებს შორის ხელმოწერილ საგრანტო ხელშეკრულების პირობებში.

თავი 6. ბუნებრივ და სოციალური გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება

შენობის კონსტრუქციული მდგრადობის გაუარესება

სარეაბილიტაციო სამუშაოებმა, სარეაბილიტაციოდ შერჩეული შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დეტალური შესწავლის გარეშე, შეიძლება ნაგებობის სტრუქტურული მდგრადობის გაუარესება გამოიწვიოს. უფრო მეტიც, თუ შერჩეული შენობა ზიანდება წყლის ზეგავლენით, გრუნტის წყლების მაღალი შემცველობის გამო, ან ნესტის/ტენიანობის გამომწვევი სხვა წყაროების ზეგავლენით, რომლებიც შეუმჩნეველი რჩება შენობების შერჩევის ეტაპზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს შენობის მდგომარეობის გაუარესება და სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ნაგებობა მალე დაუბრუნდეს თავდაპირველ მდგომარეობას.

უხარისხო სამშენებლო მასალების გამოყენება

შესაძლოა სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელმა კომპანიებმა შეიძინონ და სამუშაოებისთვის გამოიყენონ საეჭვო მომწოდებლებისგან შეძენილი სამშენებლო მასალები ან/და მეორადი მასალები. ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას ტოქსიკური სამშენებლო მასალები, როგორცაა აზბესტის შემცველი სახურავი და მილები, ტყვიის შემცველი საღებავები და სხვ.

უსაფრთხოების რისკები და მოძრაობის შეფერხება სამშენებლო მოედნის ირგვლივ

სამშენებლო ტექნიკისა და დანადგარების პარკირებამ, ასევე სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების განთავსებამ სამშენებლო მოედნის გარეთ, შეიძლება შეზღუდოს ადამიანების და ტრანსპორტის თავისუფალი გადაადგილება და წარმოქმნას უბედური შემთხვევების რისკი ფეხით მოსიარულეთათვის და იმ შენობებით მოსარგებლეებისათვის, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც მიმდინარეობს.

ისტორიულ/კულტურული ღირებულების დაკარგვა

იქიდან გამომდინარე, რომ პროექტის ფარგლებში დაფინანსდება არსებული საზოგადოებრივი შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, გამოირიცხებული არ არის, რომ საპროექტო შენობას გააჩნდეს გარკვეული ისტორიულ/კულტურული ღირებულება და ამის გამო სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულად დაცულ ობიექტს წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი ტიპის სამუშაოების პროექტი უნდა შეთანხმდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან (NACHP). ასევე შეიძლება საჭირო იყოს საპროექტო ტერიტორიაზე შესვლის სპეციალური ნებართვა ან/და NACHP-ის მხრიდან სამუშაოების ზედამხედველობა.

ხმაური, მტვერი და ვიბრაცია

შერჩეული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები სავარაუდოდ გამოიწვევს სხვადასხვა სახის უარყოფით ზემოქმედებას, რომლებიც დამახასიათებელია დასახლებულ პუნქტებში მიმდინარე მცირე მასშტაბის სამშენებლო სამუშაოებისთვის. აღნიშნული ზემოქმედება მოიცავს სამშენებლო ტექნიკის მუშაობისას წარმოქმნილ ხმაურს, მტვერს და ვიბრაციას.

სამშენებლო მოედანის და მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურება სამშენებლო ნარჩენებით

შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მოსალოდნელია სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. ეს შეიძლება იყოს მიწის სამუშაოების წარმოებისას წარმოქმნილი ჭარბი მასალები, ჯართი, ნამსხვრევები, მცირე მოცულობით ტოქსიკური ნარჩენები (აზბესტის შემცველი გადახურვა, მანქანის და ტექნიკის ნახმარი ზეთები და ფილტრები და ა.შ.), შუშა, ხე და პოლიმერული მასალები. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება სხვადასხვა სახეობის ნარჩენების დროებითი და მუდმივი განთავსების მართებულად მართვა, ამან შეიძლება გამოიწვიოს სამშენებლო მოედანისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურება.

ჯანმრთელობის პროფესიული რისკები

შენობის შიგნით მომუშავე ადამიანების ფიზიკური დაზინების რისკები შეადგენს დაკავშირებული იყოს ტემპერატურის უკიდურეს მატებასთან (სიცხესთან), ტემპერატურის უკიდურეს კლებასთან (სიცივესთან), მტვერთან, ობთან და ხმაურთან. გადაჭარბებულმა ტემპერატურამ შეიძლება გამოიწვიოს სითბური დაკვრა, სითბური კრუნჩხვები, სითბური გამოფიტვა, სითბური გამონაყარი (ნასიცხი) და სხვა პრობლემები. უკიდურესმა სიცივემ კი შეიძლება გამოიწვიოს ჰიპოთერმია, რესპირატორული დაავადებები და ა.შ. მაღალი ხმაურის განმეორებითმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მუდმივი, განუკურნებელი სმენის დაკარგვა და ტინიტუსი (მუდმივი ხმაურის შეგრძნება ყურებში). აზბესტის შემცველი მტვრის ჩასუნთქვამ და უაღრესად ტენიანი და ობიანი შენობის შიგნით ხანგრძლივმა მუშაობამ შეიძლება გამოიწვიოს სასუნთქი სისტემის მძიმე დაავადებები. სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების წესების დაცვის გარეშე მუშაობამ, სამუშაო ფორმების და პირადი დამცავი აღჭურვილობის გამოუყენებლობამ, ასევე სამშენებლო ტექნიკასთან მუშაობის დადგენილი წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ტრავმები და უზედური შემთხვევები სამუშაო ადგილზე.

ტერიტორიის ესთეტიკური იერსახის დარღვევა სამუშაოების დასრულების შემდეგ

იმ შემთხვევაში, თუ სარეაბილიტაციო სამუშაოები არასწორად დაიგეგმება და/ან განხორციელდება, არ მოხდება სამშენებლო მოედნის გაწმენდა ნარჩენი დაბინძურებისგან და აღდგენა პირვანდელ მდგომარეობამდე, ანდა, სამუშაოებისთვის მცენარეული საფარის მოხსნის აუცილებლობის შემთხვევაში,

აღარ მოხდება მათი შემდგომში აღდგენა სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, მაშინ პროექტით გათვალისწინებულმა სამუშაოებმა შეიძლება გამოიწვიოს იმ საზოგადოებრივი შენობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების ესთეტიკური იერსახის დარღვევა, სადაც ჩატარდა აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღდგენილი შენობების ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობა

საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორად მართვამ, ასევე გათბობისა და სანიტარული სისტემების არასწორმა ექსპლუატაციამ, იმ შენობებში, სადაც განთავსდება ინოვაციების ცენტრები (CICs) და რეგიონული ინოვაციების ჰაბები (RIHs), შეიძლება გამოიწვიოს როგორც შენობების შიდა გარემოს პირობების გაუარესება, ასევე მათი მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურება.

ბუნებრივი გარემოს და ჯანმრთელობის დაზიანება გრანტით დაფინანსებული საწარმოო ერთეულების მუშაობის შედეგად

საგრანტო პროგრამებმა შეიძლება ხელი შეუწყოს სხვადასხვა პროფილის ლაბორატორიების მუშაობას, ასევე მაღალტექნოლოგიური მოწყობილობების პროტოტიპების ან მათი საპილოტე რაოდენობის წარმოებას. ეს სამუშაოები შეიძლება იყოს დამაბინძურებელი და/ან თანამშრომლების ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველი.

სოციალური ზემოქმედება

კერძო საკუთრებაზე წვდომის შეზღუდვა

სარეაბილიტაციო სამუშაოების მსვლელობისას მშენებელმა კონტრაქტორმა შეიძლება კერძო მესაკუთრეებს შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს მათ საკუთრებაში არსებული ქონების ხელმისაწვდომობა, იმ შემთხვევაში, თუ ის მდებარეობს სამშენებლო მოედნის მახლობლად. აგრეთვე, სამშენებლო მასალების ან/და ნარჩენების კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაყრის შემთხვევაში. ამავდროულად შეიძლება ადგილი ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო ნარგავების/ნათესების, სარწყავი ან სადრენაჟე არხების შემთხვევით დაზიანებას.

თავი 7. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შერბილება

გარემოზე ზემოქმედების შერბილება

რეაბილიტირებული შენობების სტრუქტურული მთლიანობის და მდგრადობის უზრუნველყოფა

სანამ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება, შემოთავაზებული შენობიდან რომლის რეაბილიტაცია ჩატადეს, აუცილებელია შემოწმდეს მისი სტრუქტურული მდგრადობა და მხოლოდ ამ კლევის შედეგებზე დაყრდნობით მოხდეს შესაბამისი ინვესტიციის დამტკიცება. გარდა ამისა, შემოთავაზებული შენობები უნდა შემოწმდეს, ხომ ემუქრება მათ დაზიანება წყლის ზეგავლენით. ეს შეიძლება გამოწვეულ იქნას გრუტის წყლების ჭარბი შემცველობით, მილებიდან წყლის გაჟონვის, დაზიანებული სახურავის და სხვა მიზეზების გამო. ამგვარი დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტში შეტანილ იქნას ამ ზიანის გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრის ღონისძიებები, ხოლო თუ რაიმე მიზეზის გამო ეს არ ხერხდება, მაშინ აღნიშნული შენობა ამოღებულ უნდა იქნას სარეაბილიტაციო შენობების ნუსხიდან.

სათანადო სამშენებლო მასალების გამოყენება

კონტრაქტორები ვალდებული არიან სამშენებლო მასალები ლიცენზირებული პროვაიდერებისგან შეიძინონ. ამ მასალების ტექნიკური სპეციფიკაციები და ხარისხი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს პროექტის ხარჯთაღრიცხვაში მითითებულ მოთხოვნებს. მეორადი სამშენებლო მასალების შეძენა და გამოყენება მკაცრად იკრძალება.

სამშენებლო მოედნის დაცვა

სამშენებლო მოედნები უნდა შემოიღობოს (თუ კი შერჩეული შენობების გარშემო მიწის ნაკვეთები მანამდეც არ იყო შემოღობილი) და გაანთავსდეს სათანადო აბრები. უმეტეს შემთხვევაში განხორციელდება შენობების გარკვეული ნაწილის რეაბილიტაცია, ისე, რომ სხვა დანარჩენი ნაწილები გააგრძელებს ფუნქციონირებას. აღნიშნულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ბავშვებისა და მოზრდილების შენობის ფუნქციონირებად ნაწილში შესვლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მოხდეს შენობის სარეაბილიტაციო ნაწილის მოქმედი ნაწილისგან გამიჯვნა და შეიზღუდოს მასთან წვდომის შესაძლებლობა. სამშენებლო სამუშაოებმა არ უნდა შეზღუდოს ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა თავისუფალი მოძრაობა სარეაბილიტაციო შენობების გარშემო, ამიტომ დაუშვებელია სამშენებლო ტრანსპორტის და დანადგარების განთავსება და სამშენებლო მასალების ან/და ნარჩენების დაყრა/დაწყობა სამშენებლო მოედნის შემოსაზღვრული ტერიტორიის გარეთ.

შენობების ისტორიული/კულტურული ღირებულების შენარჩუნება

იმ შემთხვევაში, თუ სარეაბილიტაციოდ შერჩეული შენობა კულტურული/ისტორიული მემკვიდრეობის დაცული ძეგლების ნუსხაშია შეტანილი, მაშინ სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი უნდა შეთანხმდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან (NACHP) და მოპოვებულ იქნას საპროექტო (ძეგლის) ტერიტორიაზე შესვლის ნებართვა.

მუშაობა დასახლებულ პუნქტებში

სამშენებლო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ზედმეტად შეწუხების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია სამუშაო საათების ზუსტად დაცვა. აუცილებელია სამშენებლო ტექნიკა მუდმივად იყოს გამართულ/მუშა მდგომარეობაში, ასევე ხმაურის შემცირების მიზნით უნდა აიკრძალოს ძრავების უქმი მუშაობა. მშრალ ამინდში და ისეთი სამუშაოების შესრულებისას, რომლის დროსაც მტვრის ჭარბი რაოდენობა წარმოიქმნება, საჭირო იქნება სამშენებლო მოედნების პერიოდულად მორწყვა. ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა თავისუფალი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით უნდა აიკრძალოს სამშენებლო ტექნიკისა და დანადგარების პარკირება და სამშენებლო მასალების ან/და ნარჩენების დაყრა/დაწყობა სამშენებლო მოედნის შემოსაზღვრული ტერიტორიის გარეთ.

სამუშაოები მოქმედ დაწესებულებებში

სარეაბილიტაციო სამუშაოების მოქმედ დაწესებულებებში დაგეგმვა და ორგანიზება ისე უნდა განხორციელდეს, რომ მინიმუმანდე შემცირდეს იმ უწყებების საქმიანობის შეზღუდვა, რომლებიც ამ შენობებშია განთავსებული და გამოირიცხოს აღნიშნულ დაწესებულებებში შემსვლელი ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკები. ის საქმიანობები, რომელთა განხორციელებისას ყველაზე მეტი რაოდენობის ხმაური და მტვერი წარმოიქმნება ან შეიძლება თან ახლდეს სხვა ხელის შემშლელი ფაქტორები, უმჯობესია ჩატარდეს ისეთ დროს, როდესაც ეს შენობები დაკეტილია – არდადეგების, დღესასწაულების პერიოდში და ა.შ.

სამშენებლო მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურება სამშენებლო ნარჩენებით

სამშენებლო ტექნიკისა და დანადგარების ტექნიკური მომსახურება და საწვავით გამართვა სამშენებლო მოედნების გარეთ იწარმოებს. აკრძალულია სამშენებლო მოედანზე ისეთი სახიფათო ნარჩენების დაყრა, როგორიცაა სამშენებლო ტექნიკისა და დანადგარების მომსახურებისას წარმოქმნილი ნახშირი საბურავები, ზეთები და ფილტრები. სამშენებლო მასალები და ნარჩენები უნდა განთავსდეს სამშენებლო მოედნის სპეციალურად გამოყოფილ უბნებზე და პერიოდულად გატანილ იქნას ტერიტორიის გარეთ, მათი ჭარბი რაოდენობით დაგროვების თავიდან აცილების მიზნით. სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს გადახურული სატვირთო მანქანებით. სამშენებლო

ნარჩენები უნდა განთავსდეს ოფიციალურ სანიტარულ ნაგავსაყრელზე, თუკი ასეთი არსებობს სამშენებლო მოედნის მახლობლად, ანდა ისეთ ნაგავსაყრელზე, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება იმ დასახლებული პუნქტის მოსახლეობის მიერ, რომელშიც სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს ნარჩენების მართვის ეროვნული კომპანიის ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი ხელისუფლებისგან მიღებული თანხმობის საფუძველზე. სამუშაოთა მწარმოებლები უნდა მოწოდებული იყვნენ, მინიმუმადე შეამცირონ ნარჩენების წარმოქმნა და გადაამუშაონ ლითონისა და მერქნის ნარჩენები, მისი კონკრეტული ფრაქციები. GITA დაეხმარება სამუშაოების მწარმოებლებს სამშენებლო მანქანა/დანადგარების მომსახურებისას წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების (ნახმარი ზეთები, აკუმულატორები და საბურავები) იმ საწარმოებზე გადაცემის ორგანიზებაში, რომლებიც ახორციელებენ მსგავსი სახიფათო ნარჩენების განთავსებას ან/და რეციკლირებას და გააჩნიათ შესაბამისი ნებართვა აღნიშნულ საქმიანობაზე.

მუშების ჯანმრთელობის რისკების მართვა

აუცილებელია მუშა-მოსამსახურეები მომარაგებულ იყვნენ უნიფორმებით და პირადი დამცავი აღჭურვილობით და მოეთხოვებოდეთ ამ უსაფრთხოების საშუალებების გამოყენება. პერსონალი, რომელიც მუშაობს კომპლექსურ სამშენებლო ტექნიკაზე, უნდა ქონდეს ლიცენზია ამ საქმიანობის განხორციელებაზე. ასევე აუცილებელია ყველა სამსენებლო მოედანზე პირველადი სამედიცინო დახმარების და ხანძარსაწინააღმდეგო კომპლექტების მომარაგება. მუშები და პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხო სასმელი წყლითა და სანიტარული საშუალებებით.

ადგილის ესთეტიკური იერსახის გაუარესება მუშაობის დასრულების შემდეგ

რეაბილიტირებული შენობების მიღება-ჩაბარება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი მიმდებარე ტერიტორია გაიწმინდება სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და შენობის გარშემო დაზიანებული დეკორატიული მცენარეების არსებობის შემთხვევაში, მოხდება მათი აღდგენა თავდაპირველ მდგომარეობამდე.

არსებული ბუნებრივი გარემოს და ჯანმრთელობის დაზიანება გრანტით დაფინანსებული საწარმოო ერთეულების მუშაობის შედეგად

GITA საგრანტო განცხადებებს განიხილავს პროცედურების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი გარემოს და ჯანმრთელობის იმ საფრთხეების მინიმუმამდე შემცირებას, რომლებიც მოსალოდნელია ან შეიძლება გამოწვეულ იქნას გრანტით დაფინანსებული საქმიანობების შედეგად. განცხადებების სკრინინგის ეტაპზე, გარემოსდაცვითი A კატეგორიის ყველა პროექტი, ასევე ის პროექტები, რომლებიც IFC-ის დაუშვებელ საქმიანობათა სიაში ხვდება (დანართი II) უარყოფილი იქნება. გრანტი არ გაიცემა იმ საწარმოებზე, რომლებზეც რეგისტრირებულია მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები, ასევე იმ საწარმოებზე, რომლებსაც არ

გააჩნიათ ყველა საჭირო ლიცენზია და ნებართვა მიმდინარე საქმიანობებზე. აპლიკანტებს მოეთხოვებათ ESMP-ების მომზადება, თუ მათი პროექტები კლასიფიცირდება გარემოსდაცვით B კატეგორიად. GITA B კატეგორიის საქმიანობებს განხორციელების ეტაპზე გაუწევს ზედამხედველობას გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად (დანართი IV).

რეაბილიტირებული შენობის ექსპლუატაცია

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) დაიქირავებს საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრების (CICs) და რეგიონული ინოვაციების ჰაბების (RIHs) მენეჯერებს, რათა ხელი შეუწყოს CIC-ებისა და RIH-ების ინსტიტუციურ განვითარებას. ეს მენეჯერები და ბიზნესები, რომლებიც განთავსდება რეაბილიტირებულ შენობებში, ევალებათ ამ შენობების სათანადო მოვლა-პატრონობა. კერძოდ, შიდა კომუნიკაციების მომსახურება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების განკარგვა და შესაძლო მცირე დაზიანების დროული გამოსწორება.

სოციალური ზემოქმედების შერბილება

კერძო საკუთრებაზე წვდომის შეზღუდვა

იმ ზემოქმედების შესარბილებლად, რომელიც ეხება კერძო საკუთრებაზე წვდომას, საჭიროა სპეციალური სამუშაო ზონების განსაზღვრა. აღნიშნული მოიცავს ნარჩენების განთავსებისთვის პერიფერიული ზონების გამოყოფას და სამშენებლო ტექნიკის პარკირების ადგილების შემოსაზღვრას. სამუშაო ზონების შემოსაზღვრა მოხდება სპეციალური ბარიერებით, ხოლო თვალსაჩინო ადგილებზე გაკეთდება აზრები და მოეწყობა საინფორმაციო დაფები.

თავი 8. საჯარო კონსულტაცია

საჯარო კონსულტაციები ჩატარდება იმ დასახლებული პუნქტების და შენობების შერჩევის პროცესში, სადაც მოხდება ინოვაციების ცენტრების (CICs) და რეგიონული ინოვაციების ჰაბების (RIHs) მოწყობა. GENIE პროექტის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში საჯარო კონსულტაციების წარმოების ყველა ასპექტი გათვალისწინებული იქნება *GENIE პროექტის სამოქმედო სახელმძღვანელოში*. ეს თავი ეხება დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს, კონკრეტულად კი ამ პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) სამუშაო ვერსია განხილულ და შეთანხმებულ იქნა მსოფლიო ბანკის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის ქართული და ინგლისური ვერსიები საჯაროდ გამოქვეყნდა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ვებ-გვერდის მეშვეობით. პროექტის, მისი განხორციელების გარემოსდაცვითი მექანიზმების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების და წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის გაცნობის მიზნით სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან. შეხვედრაზე პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვას, რომლებიც ძირითადად განხილული საკითხების დასაზუსტებლად დაისვა. მონაწილეებს ეთხოვათ კომენტარებისა და ტექნიკური საკითხების დადგენილ ვადაში სააგენტოსთვის წარდგენა ელექტრონულად (მეილით). სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებების, ასევე ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებმა საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები ESMF-თან დაკავშირებით წარუდგინეს სააგენტოს. მიღებული გამოხმაურების საფუძველზე შესწორდა ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიმოხილვის შესაბამისი ნაწილი და გაკეთდა მინიშნება ნარჩენების კოდექსთან დაკავშირებით; გაფართოვდა სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების შემარბილებელი ღონისძიებების ნაწილი; ასევე, შესწორდა პროექტის მესამე კომპონენტის საგრანტო განცხადებების განხილვის პროცესში გასახორციელებელი გარემოსდაცვითი პროცედურების ნაწილი. ESMF-ის საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი თან ერთვის წინამდებარე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტს (ESMF) (დანართი V).

ESMF დოკუმენტი ხელახლა გასაჯაროვდება GITA-ს ვებ-გვერდის მეშვეობით ქართულ და ინგლისურ ენებზე. ESMF ასევე გამოქვეყნდება მსოფლიო ბანკის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

შენობების რეაბილიტაციისა და საგრანტო პროექტებისთვის მომზადებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების სამუშაო ვერსიები საჯაროდ გამოქვეყნდება საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ვებ-გვერდის მეშვეობით, ქართულ და ინგლისურ ენებზე, მას შემდეგ რაც მათ განიხილავს და შეთანხმებს მსოფლიო ბანკი. დოკუმენტების ნაბეჭდი ქართული ვერსიები კი განთავსდება სკოლებში, ბიბლიოთეკებში, ან სხვა დაწესებულებებში, რომელებიც ფუნქციონირებს CIC-ისა ან RIH-ისთვის შერჩეულ შენობებში. განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების მიზნებისა და ხანგრძლივობის, ასევე, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის სამუშაო ვერსიების ხელმისაწვდომობისა და ამ დოკუმენტების დაინტერესებული პირების მიერ განხილვის ვადების შესახებ,

უნდა გამოკრულ იქნას შერჩეული შენობის წინა მხარეს. სააგენტომ ადგილობრივ თვითმმართველობებთან და შერჩეულ შენობებში განთავსებული უწყებების ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების გზით უნდა შეიმუშაოს ოპტიმალური მეთოდოლოგია, რათა განხილვის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობა და უკუკავშირი/გამოხმა-ურება ESMP-ის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით. კითხვები და კომენტარები მიიღება წერილობით, ელექტრონული სახით ან ფოსტით, შერჩეულ შენობებში მოქმედი დაწესებულებების ადმინისტრაციის მიერ, ასევე GITA-ს მიერ როგორც ელექტრონული ფოსტით, ასევე GITA-ს ვებგვერდზე სპეციალურად შემუშავებული ინტერფეისის მეშვეობით. ამასთანავე, ზემოთ ჩამოთვლილ პროცედურებთან ერთად, პარალელურად ან დამოუკიდებლად, GITA გამართავს საჯარო კონსულტაციას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, განცხადება ESMP-ის ხელმისაწვდომობის შესახებ ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საკონსულტაციო შეხვედრის ადგილის თარიღისა და დროის შესახებ.

GITA უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რომელშიც ასახული იქნება საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების წარმოების პროცესები, კერძოდ, დოკუმენტის გასაჯაროებისა და დაინტერესებულ მხარეთაგან მიღებული უკუკავშირის დეტალები, მონაწილეების/შენიშვნების ავტორების სია, ფოტომასალა და მიღებული კომენტარების/შეკითხვების და მათზე გაცემული პასუხების შეჯამება. საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის ამსახველი დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს იმ დოკუმენტს, რომლისაც ეხებოდა ეს საჯარო კონსულტაცია. ასევე, საზოგადოებისგან მიღებული კომენტარების/შენიშვნების საფუძველზე საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) შეუძლია ცვლილებები შეიტანოს ამ ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრული დოკუმენტების სამუშაო ვერსიებში. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) განახლებული ვერსიები განახილველად წარედგინება მსოფლიო ბანკს და მათგან თანხმობის მიღების შემდეგ დოკუმენტების საბოლოო ვერსიები, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხელმეორედ ქვეყნდება საჯაროდ GITA-ს ვებ-გვერდის მეშვეობით.

თუ პროექტის მე-3 კომპონენტის ფარგლებში, გრანტით დაფინანსებული საქმიანობა ESMP შემუშავებას მოითხოვს, მისი სამუშაო ვარიანტი GITA-ს და მსოფლიო ბანკის მიერ განხილვის და შეთანხმების შემდეგ ქვეყნდება სააგენტოს ვებ-გვერდზე. აღნიშნული დოკუმენტების საჯარო კონსულტაციები უნდა წარიმართოს იგივენაირად, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი, პროექტის პირველი კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული საქმიანობებისთვის.

თავი 9. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი და ანგარიშგება

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) პასუხისმგებელია აწარმოოს საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის (GENIE) პროექტით დაფინანსებულ ყველა ფიზიკური სამუშაოს შესაბამისობის მონიტორინგი გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებთან. სააგენტო ამ ფუნქციას შეასრულებს მისი შიდა რესურსების გამოყენებით, ცალკეული გარემოსდაცვითი ან/და სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტების დახმარებით, რომელთაც საჭიროების მიხედვით დაიქირავენ და დაქირავებული კონსულტანტის - ტექნიკური ზედამხედველის მეშვეობით. ტექნიკური ზედამხედველის ტექნიკური დავალების ამოცანები, სხვა დანარჩენთან ერთად უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნების დაცვის ზედამხედველობას. ეს გულისხმობს ყოველთვის საველე ვიზიტებს ყველა აქტიურ სამუშაო მოედანზე და გარემოსდაცვითი მონიტორინგის ყოველთვის საველე ანგარიშების მომზადებას. მონიტორინგისას საკონტოროლო საკითხების ჩამონათვალი ნიმუშის სახით თან ერთვის წინამდებარე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტს (ESMF) (დანართი IV). შევსებულ საკონტოროლო ჩამონათვალს უნდა დაერთოს ფოტომასალა. ტექნიკური ზედამხედველის მიერ ESMP-თან მნიშვნელოვანი შეუსაბამობის, ან ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მიყენებული მატერიალური ზიანის აღმოჩენის შემთხვევაში ზედამხედველი მაკორექტირებელი ქმედებების შესახებ რეკომენდაციებს დაუყოვნებლივ წარუდგენს სააგენტოს ხელმძღვანელობას. ასევე, მათ შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მსოფლიო ბანკსაც. სააგენტოს გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების თანამშრომლები და ტექნიკური ზედამხედველი მეთვალყურეობას გაუწევენ მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებას და დოკუმენტურად გააფორმებენ შედეგებს.

სააგენტოს მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის და მსოფლიო ბანკისთვის წარსადგენად მომზადებული თითოეული პროექტის პროგრესის შესახებ ანგარიში უნდა მოიცავდეს თავს, ამ პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ამ თავში წარმოდგენილი იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის შედეგების ანალიტიკური შეჯამება საანგარიშო პერიოდისთვის, მათ შორის ინფორმაცია წარმოჭრილ პრობლემატურ საკითხებზე, კონტრაქტორებისთვის მიცემული რეკომენდაციები და მითითებები, წინა საანგარიშო პერიოდში დაწყებული გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელების სტატუსი და ტექნიკური ზედამხედველის მიერ ჩატარებული გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის ხარისხის შეფასება.

თავი 10. საჩივრების განხილვის მექანიზმი

თუ თემებსა და კერძო პირებს მიაჩნიათ, რომ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტმა მათზე უარყოფითად იმოქმედა, შეუძლიათ საჩივარი წარუდგინონ სააგენტოს, რომელიც განხილვას პროექტის დონეზე მოქმედი „დავების განხილვის პროცედურების“ შესაბამისად, ან მსოფლიო ბანკის საჩივრების განხილვის სამსახურს (GRS). GRS ემსახურება მიღებული საჩივრების დროულად განხილვას და პროექტთან მიმართებაში წამოჭრილი პრობლემების დროულ გადაწყვეტას. პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ თემებს და კერძო პირებს შეუძლიათ საჩივარი წარუდგინონ მსოფლიო ბანკის დამოუკიდებელ საინსპექციო პანელს, რომელიც შეისწავლის და დაადგენს, ზიანი ხომ არ გამოიწვია, ან ხომ არ შეიძლება გამოიწვიოს მსოფლიო ბანკის მხრიდან მისსავე სამოქმედო პოლიტიკისა და პროცედურების მოთხოვნების დარღვევამ. საჩივრების წარდგენა შეიძლება ნებისმიერ დროს, მას შემდეგ რაც მსოფლიო ბანკს უშუალოდ ეცნობება ამ პრობლემის შესახებ და ბანკის ხელმძღვანელობას მიეცამა რეაგირების შესაძლებლობა. მსოფლიო ბანკის კორპორატიული GRS-თვის საჩივრის წარდგენის შესახებ ინფორმაცია იხილეთ <http://www.worldbank.org/GRS>. მსოფლიო ბანკის დამოუკიდებელი საინსპექციო პანელისთვის საჩივრის წარდგენის შესახებ ინფორმაცია იხილეთ <http://www.inspectionpanel.org>

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს, მისთვის წარდგენილი საჩივრის განხილვას, საკითხის დეტალურ შესწავლას და მასზე პასუხის დროულად გაცემას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ერთ თვემდე ვადაში. სააგენტოსთვის საჩივრების წარდგენის გზებისა და საშუალებების უზრუნველყოფისა და გამარტივების მიზნით შეიქმნება ელექტრონული ფოსტის მისამართი esmf@gita.gov.ge. ეს ინსტრუმენტი უზრუნველყოფს სწრაფ და ოფიციალურ საკომუნიკაციო კავშირს. GITA-ში იწარმოებს ელექტრონული ფოსტის კონტროლი და თითოეული კონკრეტულ შემთხვევას მიეცემა მსვლელობა, განსახილველი საკითხის საქმისწარმოებზე უფლებამოსილი პირისთვის გადაცემის ჩათვლით.

საჩივრები მიღების მიზნით კომუნიკაციის მეორე მნიშვნელოვანი საშუალება იქნება GITA-ს ტელეფონი. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს ყველა იმ პირთან კომუნიკაციას, რომლებსაც არ აქვთ მეილით კონტაქტის საშუალება. იგივე პირი, ვინც პასუხისმგებელი იქნება მეილების კონტროლზე, უზრუნველყოფს ყველა კომენტარისა და საჩივრის ჩანიშვნას. ასევე, ყველა მიღებული გამოხმაურების განხილვის პროცესის კონტროლის მიზნით შეიქმნება მონაცემთა ბაზა.

ზოგიერთი საჩივარი შეიძლება პირდაპირ საქართველოს სასამართლოს წარედგინოს. ამ შემთხვევაში, აღნიშნული პროცედურა წარმართება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. მოთხოვნის შემთხვევაში სააგენტო სასამართლოს წარუდგენს ახსნა-განმარტებებს, ან სხვა დამატებით დოკუმენტაციას.

დანართები

- დანართი I: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების კითხვარი
წილობრივი გრანტებისთვის
- დანართი II: IFC-ის დაუშვებელ საქმიანობათა სია
- დანართი III: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის
საკონტროლო ჩამონათვალი მცირე სამშენებლო და
სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის
- დანართი IV: სამუშაოების სავსელე გარემოდაცვითი მონიტორინგის
საკონტროლო ჩამონათვალი
- დანართი V: საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი

დანართი I

**ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების საკონტროლო
ჩამონათვალი – კითხვარი წილობრივი გრანტებისთვის**

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების საკონტროლო ჩამონათვალი – კითხვარი (ივსება საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველების მიერ)			
პროექტის დასახელება:			
ქალაქი / მუნიციპალიტეტი:			
აპლიკანტის სახელი:			
კონტაქტი:			
კრიტერიუმები	დიახ	არა	კომენტარები
ფლობს თუ არა არსებული საწარმო ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ და მოქმედ საქმიანობის ნებართვას, გარემოსდაცვითი ნებართვას, ლიცენზიებს და თანხმობას (მაგ.შენობის/მიწის რეგისტრაციის დოკუმენტები, ოპერირების / სარგებლობის ლიცენზია, წყალაღების ნებართვა და ა.შ.)? <i>დაურთეთ ასლი ასეთის არსებობის შემთხვევაში.</i>			
განეკუთვნება თუ არა შემოთავაზებული საქმიანობა იმ საქმიანობებს, რისთვისაც ეს ნებართვა გაიცა?			
საჭიროა თუ არა არსებული საწარმოსთვის საქართველოს ბუნებრივი ზემოქმედების წესების დაცვა აირების ემისიასა და ჩამდინარე წყლების ჩაშვებასთან დაკავშირებით? <i>დაურთეთ ასლი ასეთის არსებობის შემთხვევაში.</i> აქვს თუ არა საწარმოს საჭირო შეთანხმებები დამაბინძურებლის კონცენტრაციის შესახებ? <i>დაურთეთ ასლი ასეთის არსებობის შემთხვევაში.</i>			
გაქვთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური გადასახადი, ჯარიმა, სასჯელი ან სხვა გარემოსდაცვითი ვალდებულებები (მაგ. მიმდინარე სამართალწარმოება, მათ შორის გარემოსდაცვის საკითხებზე და ა.შ.)?			
ყოფილა თუ არა რაიმე საჩივარი ადგილობრივი მოსახლეობისგან ან არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიყენებული ზიანის თაობაზე			

არსებული საწარმოს მუშაობის პროცესში? თუ ასეთი არსებობს,, რა ზომები იქნა მიღებული ამ საკითხის გამოსასწორებლად და როგორ მოხდა დაზარალებულ მხარესთან კომუნიკაცია?			
შეთავაზებული აქტივობა			
დაგეგმილი საქმიანობები მოითხოვს თუ არა: • კერძო მიწის გამოსყიდვას • კერძო საკუთრების ხელყოფას • ადამიანების ფიზიკურ გადაადგილებას/გადასახლებას • საარსებო შემოსავლებზე ზემოქმედებას			
საქმიანობას შედეგად მოჰყვება თუ არა ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, რასაც შეიძლება დაჭირდეს ოფიციალური შეთანხმება ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების დასაშვებ კონცენტრაციაზე?			
საქმიანობის შედეგად მოჰყვება თუ არა მავნე აირების წარმოქმნა, რომელთა ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას შეიძლება დაჭირდეს ოფიციალური შეთანხმება დამაბინძურებელი ნივთიერებების დასაშვებ კონცენტრაციაზე?			
გამოიწვევს თუ არა საქმიანობა ხმაურის ისეთი დონეების წარმოქმნას, რომელიც მოითხოვს საკონტროლო ღონიძიებების გატარებას, საქართველოს დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად? იმოქმედებს თუ არა ხმაური განსაკუთრებით სენსიტიურ რეცეპტორებზე (ბუნებრივი ჰაბიტატები, საავადმყოფოები, სკოლები, ადგილობრივი დასახლებული ცენტრები)?			
საქმიანობა ხომ არ მოიხმარს/გამოიყენებს/ შეინახავს ან აწარმოებს ისეთ საშიშ მასალებს, რომლებიც: • საჭიროებს სპეციალურ ლიცენზიებს • საჭიროებს სპეცირად მომზადებულ პერსონალს			
საქმიანობის შედეგად მოხდება თუ არა მყარი ნარჩენების დაგროვება, გარდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა? (ეს შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ცხოველური წარმოშობის ორგანულ ნარჩენებს, სამედიცინო ნარჩენებს, აალებად მასალებს და ა.შ.)			

ეს საქმიანობა ხომ არ განხორციელდება დაცული ტერიტორიების, რეკრეაციული ზონების / კურორტების სიახლოვეს?			
ეს საქმიანობა ხომ არ განხორციელდება ისტორიული / კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს?			
საქმიანობა ხომ არ მოიცავს ცოცხალი ორგანიზმების (მაგ ნერგი, მწერები, ცხოველები) ან გმო-ს იმპორტს?			
არსებობს თუ არა ამ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ასპექტები, რომლებიც ჩვეულებრივი ოპერირების დროს ან სპეციალურ პირობებში რისკს შეუქმნის მოსახლეობას ან შეიძლება უსიამოვნოდ (შემაწუხებლად) ჩაითვალოს?			

დანართი II

IFC-ის დაუშვებელ საქმიანობათა სია

- ისეთი პროდუქტის ან საქმიანობის წარმოება ან ვაჭრობა, რომელიც უკანონოდ ითვლება მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით, რეგულაციებით, ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, ან ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვას, როგორცაა მედიკამენტები, პესტიციდები/პერბიციდები, ოზონდამშლელი ნივთიერებები, პოლიქლორირებული ბიფენილები (PCBs), ველური ბუნება ან პროდუქტები, რომლებიც რეგულირდება CITES-ით.
- იარაღის ან საბრძოლო მასალის წარმოება ან ვაჭრობა
- ალკოჰოლური სასმელების (გარდა ლუდისა და ღვინის) წარმოება ან ვაჭრობა
- თამბაქოს წარმოება ან ვაჭრობა
- აზარტული თამაშები, კაზინო და ანალოგიური საწარმოები
- რადიოაქტიური მასალების (ეს არ ვრცელდება სამედიცინო აღჭურვილობის, ხარისხის კონტროლის (საზომი) აპარატურის და ისეთი ტექნიკის შეძენაზე, სადაც IFC მიიჩნევს, რომ რადიოაქტიური წყარო არის უმნიშვნელოდ მცირე ან/და ადეკვატურად დაცული) წარმოება ან ვაჭრობა.
- არაშეკავშირებული აზბესტის ბოჭკოების წარმოება ან ვაჭრობა. ეს არ ეხება შეკავშირებული აზბესტის ცემენტის ფურცლის შეძენას და გამოყენებას, სადაც აზბესტის შემცველობა 20%-ზე ნაკლებია.
- გადასაგდები ბადით თევზაობა საზღვაო აკვატორიაში თუ ბადის სიგრძე აღემატება 2.5 კილომეტრს.
- იძულებითი ან არასრულწლოვანთა 1 საზიანო ან ექსპლუატატორული შრომის შემცველი წარმოება ან საქმიანობა
- კომერციული მიზნით ხის ჭრის ოპერაციები ბუნებრივ ტროპიკულ ტენიან ტყეებში
- ხისა და სხვა სატყეო მასალების წარმოება ან ვაჭრობა, მდგრადი განვითარების პრინციპით მართვადი ტყის რესურსების გარდა,
- საშიში ქიმიური ნივთიერებების მნიშვნელოვანი მოცულობის წარმოება, შენახვა ან ვაჭრობა, ან ტრანსპორტირება, ან საშიში ქიმიური ნივთიერებების კომერციული მასშტაბით გამოყენება (მათ შორის ბენზინი, ნავთი და სხვა ნავთობპროდუქტები).

დანართი III

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) ჩამონათვალი მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის

ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის გამოყენებისათვის:

დაბალი რისკის აქტივობებისათვის, როგორცაა სარეაბილიტაციო სამუშაოები. საკონტროლო ჩამონათვალის ტიპის ფორმატი შემუშავებულ იქნა „სანიმუშო კარგი პრაქტიკის“ წარმოსადგენად და იმ მიზნით, რომ მისი ფორმატი იყოს მარტივი, მომხმარებლისთვის მოსახერხებელი და უსაფრთხოების მოთხოვნებთან თავსებადი.

ESMP საკონტროლო ჩამონათვალის ტიპის ფორმატის მიზანია მოიცვას ტიპური შემარბილებელი მიდგომები იმ სამშენებლო კონტრაქტებისადმი, რომლებიც მცირე ზომის, ლოკალიზებულ ზემოქმედებას ითვალისწინებს. მიჩნეულია, რომ ეს ფორმატი მოიცავს ESMP-ის იმ ძირითად ელემენტებს, რომელიც აუცილებელია მსოფლიო ბანკის გარემოს შეფასების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, როგორც ამას ითვალისწინებს OP/BP 4.01. მოცემული საკონტროლო ჩამონათვალი მცირე მოცულობის მშენებლობების განმახორციელებლების მიერ, შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც სახელმძღვანელო მითითებები და წარმოადგენს იმ კონტრაქტორების სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს, რომლებიც ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მცირე მასშტაბის სამშენებლო სამუშაოებს ასრულებენ.

საკონტროლო ჩამონათვალი სამი ნაწილისგან შედგება:

ნაწილი 1 აღწერითი ხასიათისაა, რომელიც ახასიათებს პროექტს და კონკრეტულად აღწერს ინსტიტუციონალურ და საკანონმდებლო ასპექტებს, პროექტის ტექნიკურ შინაარსს, შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის პოტენციურ საჭიროებას და საჯარო კონსულტაციების პროცესის აღწერას. მოცემული ნაწილის რაოდენობა უნდა იყოს ორ გვერდამდე. საჭიროების შემთხვევაში მოცემულ ნაწილს თან უნდა დაერთოს დანართები დამატებითი ინფორმაციისთვის.

ნაწილი 2 მოიცავს გარემოს დაცვითი და სოციალური სკრინინგის საკონტროლო ჩამონათვალს, სადაც მოსალოდნელი აქტივობები და გარემოზე ზემოქმედების პოტენციური საკითხები მოინიშნება მარტივად, „დიახ/არა“ ფორმატით. თუ რომელიმე მოცემული ქმედება/საკითხი აქტიურდება "დიახ" მონიშვნით, მაშინ გადამისამართება ხდება ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამის ნაწილზე, რომელიც შეიცავს გარკვევით ჩამოყალიბებულ მართვისა და ზემოქმედების შემცირების ღონისძიებებს.

ნაწილი 3 წარმოადგენს პროექტის მშენებლობისა და განხორციელების პროცესში აქტივობების მონიტორინგის გეგმას. მისი ფორმატი ასევე შეესაბამება „ბ“ კატეგორიის პროექტების EMPs-თვის განსაზღვრულ ბანკის სტანდარტულ მოთხოვნებს. მოცემული საკონტროლო ჩამონათვალის ნაწილი 2 და 3 შეტანილი უნდა იქნას კონტრაქტორების სატენდერო დოკუმენტებში, შეფასდეს ტენდერის პროცესში და სამუშაოების მიმდინარეობისას განხორციელდეს მკაცრი კონტროლი მათ შესრულებაზე.

შემაღგენლობა

- A) ზოგადი ინფორმაცია პროექტის და ადგილის შესახებ
- B) უსაფრთხოების ინფორმაცია
- C) შემარბილებელი ღონისძიებები
- D) მონიტორინგის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და მისი ადგილმდებარეობის შესახებ

ინსტიტუციური და ადმინისტრაციული			
ქვეყანა			
პროექტის დასახელება			
საპროექტო მოედანზე გათვალისწინებული ქმედებების დახასიათება			
ინსტიტუციური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: ტომას ჰევენი; Siddhartha Raja	უსაფრთხოების სპეციალისტები: დარეჯან კაპანაძე; მიშელე რობოსიო	
განხორციელების ორგანიზება (საქართველო)	განმახორციელებელი: GITA, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სამუშაოების ზედამხედველი: (tbd)	სამუშაოების კონტრაქტორი: (tbd)
ადგილის აღწერა			
დაწესებულების დასახელება, ვის საკუთრებასაც წარმოადგენს შენობა, რომლის რეაბილიტაციაც იგეგმება			
დაწესებულების მისამართი და მდებარეობა, რომლის კუთვნილი შენობის რეაბილიტაციაც ტარდება			
ვინ ფლობს მიწას? ვინ იყენებს მიწას (ფორმალურად / არაფორმალურად)?			
ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა ტერიტორიის ირგვლივ			
მასალების, კერძოდ აგრეგატების, წყლის, ქვების (ქვიშა-ხრეში) მოწოდების წყარომდე მანძილი, და მათი ადგილმდებარეობა			
კანონმდებლობა			
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ნებართვები რომეიც ეხება საპროექტო საქმიანობას			
საჯარო კონსულტაცია			
როდის /სად ჩატარდება/ჩატარდა საჯარო კონსულტაცია			
დანართები			

დანართი 1: ადგილის რუკა/ფოტო

დანართი 2: სამშენებლო ნებართვა (საჭიროების შემთხვევაში)

დანართი 3: სამშენებლო ნარჩენების განთავსების შესახებ შეთანხმება

სხვა – საჭიროების შემთხვევაში

ინფორმაცია სამუშაოების ზედახედველის, სამუშაოების მწარმოებელის (კონტრაქტორი) შესახებ და დანართები მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი, შერჩეული მშენებელი კონტრაქტორის ადგილზე მობილიზაციამდე.

ნაწილი B: უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია

გარემოზე/სოციალური ზემოქმედების სკრინინგი			
მოიცავს თუ არა პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა რომელიმეს შემდეგი ჩამონათვალიდან?	აქტივობა/საკითხი	სტატუსი	ქმედებები
	A. შენობის რეაბილიტაცია	[] დიახ [] არა	იხ. ნაწ. A ქვემოთ
	B. ახალი მშენებლობა	[] დიახ [] არა	იხ. ნაწ. A ქვემოთ
	C. ინდივიდუალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემა	[] დიახ [] არა	იხ. ნაწ. B ქვემოთ
	D. ისტორიული შენობები და რაიონები	[] დიახ [] არა	იხ. ნაწ. C ქვემოთ
	E. მიწის შეძენა ³	[] დიახ [] არა	იხ. ნაწ. D ქვემოთ
	F. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები ⁴	[] დიახ [] არა	იხ. ნაწ. E ქვემოთ
	G. ზემოქმედება ტყეებზე და / ან დაცულ ტერიტორიებზე	[] დიახ [] არა	იხ. ნაწ. F ქვემოთ
	H. სამედიცინო ნარჩენების მართვა / მოპყრობა	[] დიახ [] არა	იხ. ნაწ. G ქვემოთ
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[] დიახ [] არა	იხ. ნაწ. H ქვემოთ

³ მიწის შეძენა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების ხელყოფას - ეს ეხება მიწებს, რომელის შეძენა/გასხვისება ხდება და ამ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადამიანებს რომლებიც ცხოვრობენ ან/და თვითნებურად სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) მიწაზე რომლის გამოსყიდვაც იგეგმება

⁴ ტოქსიკური / სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე გამხსნელები, ტყვიის საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემამსუბუქებელი ღონისძიებები

აქტივობა	პარამეტრი	შემამსუბუქებელი ღონისძიებების საკონტროლო სია
0. ზოგადი პირობები	შეტყობინება და მუშა ხელის უსაფრთხოება	(a) ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ მიწოდებულია ადგილობრივი სამშენებლო და გარემოსდაცვითი საზედამხებდველო ორგანოებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის; (b) დაგეგმილი სამუშაოების შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება მოხდა შეტყობინების სათანადო საშუალებების გამოყენების გზით, მედია საშუალებებითა და /ან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოს განხორციელების ადგილის ჩათვლით); (c) სამშენებლო და / ან სარეაბილიტაციის სამუშაოების წარმოებაზე მიღებულია იურიდიულად საჭირო ყველა ნებართვა. (d) კონტრაქტორი ოფიციალურ ეთანხმება, რომ სამუშაოები განხორციელდება წინასწარ დაგეგმილი უსაფრთხოების წესებისა და წესრიგის დაცვის გზით, რატა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მოსალოდნელი ზემოქმედება მომიჯნავე მოსახლეობასა და ბუნებრივ გარემოზე; (e) მუშა ხელის პირადი დამცავი აღჭურვილობა (PPE) შეესაბამება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრაქტიკას (მუშები ყოველთვის იყენებენ ჩაფხუტებს, საჭიროების შემთხვევაში ნიღბებს და უსაფრთხოების სათვალეებს, უსაფრთხოების ღვედებს და დამცავ ფეხსაცმელს). (f) საპროექტო მოედნებზე განთავსებული საინფორმაციო აბრები მუშებს აწვდის ინფორმაციას სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებული სავალდებულო წესებისა და რეგულაციების შესახებ.
A. ზოგადი რეაბილიტაციის და /ან სამშენებლო აქტივობები	ჰაერის ხარისხი	(a) შიდა სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისას პირველი სართულის ზემოთ გამოყვებულ იქნას სამშენებლო ნაგავის გამომტანი მილი; (b) ნგრევის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები უნდა შენახულ იქნას კონტროლირებად ტერიტორიაზე, ხოლო მტვრის წარმოქმნისა და გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ნამტვრევები დაინამოს წყლით; (c) პნევმატიკური ბურღვის / კედლების დემონტაჟის პროცესში წარმოქმნილი მტვერის შემცირება უნდა მოხდეს წყლის ჭავლის შესხურებით და /ან ადგილების მტვრის საწინააღმდეგო ეკრანით შემოღობვის გზით. (d) მიმდებარე ტერიტორია (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს სამშენებლო ნარჩენებისგან, რათა მინიმუმამდე შემცირდეს მტვრის წარმოქმნა და გავრცელება; (e) დაუშვებელია სამშენებლო მოედნებზე სამშენებლო მასალების/ ნარჩენების ღია წესით დაწვა. (f) დაუშვებელია საპროექტო მოედნებზე სამშენებლო ტექნიკისა და დანადგარების უქმი მუშაობა.
	ხმაური	(a) სამშენებლო ხმაური დაიშვება ნებართვაში შეთანხმებულ დროის მონაკვეთებში. (b) ექსპლუატაციისას გენერატორის ძრავის, ჰაერის კომპრესორების და სხვა ელექტრო ენერგიაზე მომუშავე მანქანა-დანადგარების საფარები უნდა იყოს დახურული და განთავსდეს საცხოვრებელი ადგილებიდან მოშორებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია.
	წყლის ხარისხი	(a) საპროექტო მოედანზე უნდა განხორციელდეს ეროზიისა და დანალექების კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები, როგორცაა თივის შეკვრებისა და/ ან შლამის მესერის განთავსება, რათა თავიდან იქნას აცილებული სამშენებლო მოედნიდან დანალექების გადინება და ახლომდებარე ნაკადულებსა და მდინარეებში წყლის ზედმეტად ამღვრევა.

	ნარჩენების მართვა	(a) ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ადგილებისა და გზების იდენტიფიკაცია უნდა მოხდეს ყველა ძირითადი ტიპის ნარჩენისთვის, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოები განხორციელებისას. (b) სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოებისას წარმოქმნილი მინერალური ნარჩენები უნდა გამოცალკევდეს საერთო ნარჩენებისგან, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებისგან ადგილზე დახარისხების გზით და განთავსდეს შესაბამის კონტეინერებში. (c) სამშენებლო ნარჩენები შეგროვდება და გატანილ იქნება საჭიროების მიხედვით ლიცენზირებული კომპანიების მიერ. (d) ნარჩენების გატანის შესახებ განხორციელდება ჩანაწერების წარმოება, ნარჩენების შესაბამისად მართვის დასაბუთების მიზნით, როგორც ეს წინასწარ იყო გასაზღვრული. (e) შესაძლებლობის შემთხვევაში კონტრაქტორი ხელახლა გამოიყენებს გამოყენებად მასალებს ან/და განხორციელებს შესაბამისი და სიციცხლისუნარიანი მასალების ხელახალ გადამუშავებას (გარდა აზბესტისა).
B. ჩამდინარე წყლების გაწმენდის ინდივიდუალური სისტემა	წყლის ხარისხი	(a) სამშენებლო მოედნებიდან (მონტაჟი ან რეკონსტრუქცია) სანიტარული ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების დამუშავების/გაწმენდის მიდგომები უნდა დამტკიცებულ იქნას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. (b) მიმღებ წყლებში ჩადინებამდე, ინდივიდუალური სისტემებიდან გამომდინარე ჩამდინარე წყლები უნდა დამუშავდეს/გაიწმინდოს, რათა მოხდეს ჩამდინარე წყლების ხარისხის იმ მინიმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილება, რომლებიც განსაზღვრულია ჩამდინარე წყლებისა და საკანალიზაციო წყლების დამუშავების/გაწმენდის ეროვნული სახელმძღვანელოს მითითებებში/რეკომენდაციებში. (c) განხორციელდება ჩამდინარე წყლების ახალი სისტემის (-მდე/შემდეგ) მონიტორინგი. (d) სამშენებლო მანქანები და მანქანა-დანადგარები გაირეცხება მხოლოდ ამ მიზნით გამოყოფილ ადგილებში, საიდანაც არ მოხდება რეცხვის შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლებით ბუნებრივი ზედაპირული წყლების დაბინძურება.
C. ისტორიული შენობ(ებ)ი	კულტურული მემკვიდრეობა	(a) თუ შენობა წარმოადგენს ისტორიულ სრუქტურას, ან მდებარეობს ასეთ სტრუქტურასთან ძალიან ახლოს, ან განლაგებულია ისტორიული მნიშვნელობის მქონე უბანში, უნდა მოხდეს შესაბამისი შეტყობინების გაგზავნა და მიღებული იქნას დასტური / ნებართვა ადგილობრივი ხელისუფლებიდან; ამასთან, ყველა სამშენებლო ღონისძიება უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ადგილობრივი და ეროვნული კანონმდებლობის დაცვით. (b) უნდა შემუშავდეს დ უზრუნველყოფილი იქნას საპროექტო მოედანზე შესაბამისი წესების არსებობა, რომ მიწის ან სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში არტეფაქტების აღმოჩენის ან „შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების“ გამოვლენისას, დროულად და სწორად მოხდეს აღნიშნული ფაქტების დაფიქსირება და რეგისტრაცია, პასუხისმგებელ ოფიციალურ პირებთან დაკავშირება, და სამუშაოების გადადება ან ცვლილება ამგვარი აღმოჩენების გამო.
D. მიწის შესყიდვა	მიწის შესყიდვის გეგმა/ ჩარჩო	(a) თუ მიწის ექსპროპრიაცია გათვალისწინებული არ იყო, მაგრამ საჭირო გახდა ამის განხორციელება, ან თუ არ იყო მოსალოდნელი მიწის იურიდიული ან არა- ლეგალური გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლების დაკარგვა, მაგრამ მაინც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამგვარ დანაკარგს, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს კონსულტაციები ზანკის ჯგუფის ხელმძღვანელთან. (b) განხორციელდება მხოლოდ დამტკიცებული მიწის შესყიდვის გეგმა /ჩარჩო (თუ ამას პროექტი მოითხოვს).

E. ტოქსიკური მასალები	აზბესტის მართვა	(a) თუ პროექტის ტერიტორიაზე არსებობს აზბესტი, ის გარკვევით უნდა მონიშნული, როგორც სახიფათო ნივთიერება. (b) თუ შესაძლებლობა არსებობს, მოსაღდნელი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მოხდება აზბესტის შესაბამისად შენახვა და დალუქვა. (c) აზბესტის (თუ გატანა აუცილებელია) ტერიტორიიდან გატანამდე, აზბესტის მტვრის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, უნდა მოხდეს მისი დამუშავება დამატენიანებელი ნივთიერებით. (d) აზბესტთან მუშაობა და მის გატანა განხორციელდება შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალების მიერ. (e) თუ ხდება აზბესტის მასალის დროებით შენახვა, ნარჩენები უნდა დიდი სიფრთხილით უნდა იქნას შენახული დახურული ტიპის კონტეინერში და მოხდეს შესაბამისი აღნიშვნების გაკეთება. განხორციელდება უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო მოედნიდან მათი არაავტორიზებული გატანის თავიდან აცილების მიზნით. (f) არ მოხდება მოხსნილი აზბესტის ხელახალი გამოყენება.
	ტოქსიკური / საშიში ნარჩენების მართვა	(a) საპროექტო მოედანზე ყველა სახიფათო ან ტოქსიკური ნივთიერების დროებითი შენახვა მოხდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც გაკეთდება შესაბამისი აღნიშვნები ნივთიერების შემადგენლობის, თვისებებისა და მასთან მუშაობის წესების შესახებ ინფორმაციის მითითებით. (b) სახიფათო ნივთიერებების შემცველი კონტეინერები უნდა განთავსდეს არა-გაჟონვად კონტეინერებში, გაჟონვისა და გამოტუტვის თავიდან აცილების მიზნით. (c) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სპეციალურად ლიცენზირებული გადამზიდავების მიერ; ამასთან, მათი გაუვნებლება/განთავსება უნდა მოხდეს შესაბამისი ლიცენზიის მქონე ობიექტებზე. (d) არ მოხდება ტოქსიკური ნივთიერებების შემცველი საღებავების ან გამხსნელების ან ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება
F. ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტყეები, ჭარბტენიანი და/ან დაცული ტერიტორიები	დაცვა	(a) არ მოხდება უშუალოდ საქმიანობების განხორციელების მახლობლად განლაგებული აღიარებული ბუნებრივი ჰაბიტატების (ველური სამყაროს საცხოვრებელი გარემო), ჭარბტენიანი ტერიტორიების და დაცული ტერიტორიების დაზიანება ან გამოყენება; ყველა თანამშრომელს მკაცრად აეკრძალება ნადირობა, საკვების მოპოვება, ხეების ჭრა ან სხვა ზიანის მომტანი საქმიანობის განხორციელება აღნიშნულ ტერიტორიებზე. (b) განხორციელდება სამშენებლო ტერიტორიის მახლობლად განლაგებული დიდი ხეების აღწერა და რეგისტრაცია, დიდი ხეები მოინიშნება და შემოსაზღვრება ღობით, მოხდება მათი ფესვთა სისტემების დაცვა და ხეების ნებისმიერი სახის დაზიანების თავიდან აცილება. (c) მოხდება მიმდებარე ჭარბტენიანი ტერიტორიებისა და წყლის ნაკადების დაცვა სამშენებლო მოედნიდან გამომდინარე წყლებისგან; რისთვისაც გამოყენებული იქნება ეროზიისა და სედიმენტების (დანალექები) კონტროლის მექანიზმები, მეგ.: თივის დაპრესილი ზვინების და ლამის ჯებირების გამოყენება. თუმცა აღნიშნულით არ შემოიფარგლება. (d) სამშენებლო ტერიტორიის მახლობლად არ იქნება არალიცენზირებული კარიერები ან ნარჩენების სანაყაროები, ეს განსაკუთრებით ეხება დაცულ ტერიტორიებს.

G. სამედიცინო ნარჩენების განადგურება	სამედიცინო ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა	(a) ეროვნული კანონდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ ახლად აშენებულ და/ ან რეაბილიტირებულ სამედიცინო დახმარების ერთეულებში გათვალისწინებული იყოს სამედიცინო ნარჩენებთან მუშაობისა და მათი განადგურებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა; ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით; ▪ სპეციალური საშუალებები სეგრეგატული სამედიცინო ნარჩენებისთვის (რაც მოიცავს დაბინძურებულ ინსტრუმენტებს „ბასრ ‘ ინსტრუმენტებს, ადამიანის ქსოვილებს ან სითხეებს), რომლებიც გამოყოფილია სხვა ნარჩენებისგან; და ▪ სამედიცინო ნარჩენების ადგილზე შესანახი საშუალებები; და ▪ თუ აქტივობა ითვალისწინებს ადგილზე მკურნალობას, ადგილზე უნდა არსებობდეს და ფუნქციონირებდეს ნარჩენების განტავსები და განადგურების შესაბამისი საშუალებები.
H ტრანსპორტის მოძრაობა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო აქტივობების გამო საზოგადოების ნაკადებისთვის და ფეხით მოსიარულეებისთვის შექმნილი პირდაპირი ან არაპირდაპირი საშიშროებები	(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, კონტრაქტორი უზრუნველყოფს სამშენებლო ტერიტორიის სათანადო დაცვას და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ნაკადების სწორად მართვას. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ▪ მანიშნებელი და გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები: სამშენებლო ტერიტორია იქნება კარგად ხილვადი, საზოგადოება კი ინფორმირებული ყველა პოტენციური საშიშროების შესახებ. ▪ ტრანსპორტის მართვის სისტემა და თანამშრომლების ტრეინინგი, განსაკუთრებით კი სამშენებლო ტერიტორიაზე დაშვებისა და საპროექტო ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების საკითხებთან დაკავშირებით. ფეხით მოსიარულეებისათვის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, გადასასვლელების მოწყობა გზებზე და გზების ურთიერთ გადაკვეთის ადგილებში, იქ სადაც სამშენებლო ტექნიკა მოძრაობს. ▪ სამუშაო საათების ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან შესაბამისობაში მოყვანა. მაგალითად: პიკის საათებში ან პირუტყვის მოძრაობის საათებში მნიშვნელოვანი ხასიათის სატრანსპორტო მოძრაობის თავიდან აცილება. ▪ სამშენებლო მოედანზე ტრანსპორტის მოძრაობის მართვა უნდა განხორციელდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და სპეციალური მანიშნებლებით აღჭურვილი თანამშრომლების მიერ, თუ ეს საჭიროა მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის. ▪ საოფისე შენობების, მაღაზიების და საცხოვრებელ შენობების უსაფრთხო და უწყვეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, თუ სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას გათვალისწინებულია ამ შენობების საზოგადოებისთვის ღიად/ფუნქციონირებად მდგომარეობაში დატოვება.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

აქტივობა	რა (რა პარამეტრის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს?)	სად (არის პარამეტრი, რომლის მონიტორინგიც უნდა განხორციელდეს?)	როგორ (უნდა მოხდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე / ან განგრძობადობა?)	რატომ (ხორციელდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი?)
მშენებლობის ფაზა						
1.						
2.						
...						
n.						
ოპერირების ფაზა						
1.						
2.						
...						
n.						

დანართი IV

ადგილზე გარემოს მონიტორინგის ყოველთვიური საკონტროლო ცხრილი

ადგილის მდებარეობა					
კონტრაქტორის სახელწოდება					
ზედამხედველის სახელი, გვარი					
ადგილზე ვიზიტის თარიღი					
სამშენებლო სამუშაოების სტატუსი					
შესამოწმებელი საბუთები და აქტივობები	სტატუსი				შენიშვნები
	დიახ	ნაწილობრივ	არა	არ ივსება	
კონტრაქტორს გააჩნია ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზია					
კონტრაქტორს გააჩნია ბეტონის / ასფალტის ქარხნის ოპერირების ნებართვა					
კონტრაქტორს შესაბამის უწყებებთან შეთანხმებული აქვს ნარჩენების საბოლოო განთავსების საკითხი					
კონტრაქტორს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის სამსახურთან, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების საბოლოო გატანას და განთავსებას					

სამუშაო მოედანი შემოღობილია და განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები					
სამუშაოები არ აფერხებს ფეხით მოსიარულებს და ავტო ტრანსპორტის თავისუფალ გადაადგილებას, ან უზრუნველყოფილია დროებითი მისასვლელი გზები					
ხდება სამუშაო საათების დაცვა					
სამშენებლო ტექნიკა და დანადგარები სტანდარტულ გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაშია (არ აქვს ადგილი ჭარბ გამონაბოლქვს და ხმაურს, საწვავისა და საპოხი მასალების გაჟონვას)					
სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება ხდება დახურულ მარიანი ტრანსპორტით					
სამშენებლო მოედანი ირწყვება/ინამება ისეთი სამუშაოების წარმოებისას, რომელსაც თან ახლავს ჭარბი რაოდენობით მტვრის წარმოქმნა					
კონტრაქტორის სამშენებლო ბანაკი ან სამშენებლო ბაზა შემოღობილია; გამოყოფილია ადგილები ნარჩენების დროებით შესანახად და ტრანსპორტის/ტექნიკის მომსახურებისთვის					

კონტრაქტორის ბანაკს მიეწოდება წყალი და უზრუნველყოფილია სანიტარული პირობებით					
კონტრაქტორის ბანაკი ან სამუშაო მოედანი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარებისა და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით					
მუშებს აცვიათ ფორმები და აღჭურვილი არიან პირადი დამცავი საშუალებებით, რომლებიც მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს შეესაბამება (ხელთათმანები, ჩაფხუტები, აირწინაღები, სათვალეები და ა.შ.)					
ტრანსპორტისა და ტექნიკის მომსახურება და საწვავით შევსება ხორციელდება დახურულ ადგილას, რომლის ქვედა ზედაპირზე მოწყობილია გაუმტარი ფენა და სადაც შესაძლებელი იქნება ოპერირების ან ავარიის შემთხვევაში დაღვრილი სითხეების შეკავება					
ტრანსპორტისა და ტექნიკის გარეცხვა ხდება ბუნებრივი ზედაპირული წყლის ობიექტებიდან მოშორებით, ისე, რომ მოხმარებული წყლის ნაკადი პირდაპირ არ ჩაედინება ბუნებრივ წყალსატევებში					
სამშენებლო ნარჩენების გატანა და განთავსება ხდება სპეციალურად ამ მიზნისთვის გამოყოფილ ადგილებში.					

ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვება ხდება ლიცენზიაში მითითებული პირობების დაცვით.					
ჭარბი მასალები და ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენა, რომელიც წარმოიქმნა მიწის სამუშაოებისას ინახება განცალკევებულად და გამოიყენება საჭიროების მიხედვით უკუჩაყრისთვის / სამშენებლო მოედნის აღდგენითი სამუშაოებისთვის					
შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში სამუშაოების ხდება სამუშაოების შეჩერება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სამსახურებსთვის					
ობიექტზე ფიზიკური სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამშენებლო მოედანი და კონტრაქტორის ბანაკი დასუფთავებულია სამუშაოების შედეგად რამოქმნილი ყველა ნარჩენისგან და ჰარმონიზებულია გარემომცველ ლანდშაფტთან.					

დანართი V

ოქმი - საჯარო კონსულტაციების პროცესი

საჯარო კონსულტაციების შეხვედრა 13 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ჩატარდა.

მარიამ ლაშხი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, GITA. მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს და შეხვედრა გახსნა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA), მიერ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მომზადებული საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკო-სისტემის (GENIE) პროექტის წარდგენითა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) გაცნობით, რომელიც წარმოადგენს პროექტის განხორციელების პროცესში კონკრეტული ადგილის შესაბამისი გარემოსთან დაკავშირებული და სოციალური სამუშაოების სახელმძღვანელო მითითებებს.

მონაწილეებმა დასვეს კითხვები საკითხებში უკეთ გარკვევის მიზნით და მიუთითეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის ქართულ ვერსიაში არსებული პრობლემების შესახებ. აღინიშნა, რომ ყველა დაინტერესებული მხარისთვის გამოყოფილი უნდა ყოფილიყო საკმარისი დრო დოკუმენტზე წერილობითი შენიშვნების წარმოდგენის მიზნით.

თავდაპირველი უკუკავშირის საპასუხოდ, GITA-მ დამატებითი ძალისხმევა მიმართა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის ქართულ ვერსიის დასახვეწად. ამასთან ერთად, წერილობითი შენიშვნების მოწოდების ხელშეწყობის მიზნით, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის GITA-ს ვებ გვერდზე განთავსებასთან ერთად, დოკუმენტი ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნა 100-მდე პოტენციურ დაინტერესებულ მხარეს დოკუმენტის შესახებ პოზიციის დაფიქსირებისა და რჩევების მოწოდების თხოვნით. 19 ნოემბერი განისაზღვრა დამატებითი უკუკავშირის მოწოდების ბოლო ვადად.

ქვემოთ, ცხრილის ფორმატში წარმოდგენილია ESMF-ის შინაარსთან დაკავშირებული შენიშვნები და კითხვები. დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული უკუკავშირის საფუძველზე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებები განხილულია თავ 8-ში, ზემოთ. სარედაქციო ხასიათის დახვეწასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მართებულად იქნა მიჩნეული.

ფოტოები, საკონსულტაციო შეხვედრა



შეხვედრის მონაწილეების ჩამონათვალი

სახელი/გვარი	ორგანიზაცია	ტელეფონის ნომერი	ელ. ფოსტის მისამართი
თამარ ხმალაძე	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	577080035	Tamar.khmaladze@moa.hov.ge
ზვიად მანდარია	საქართველოს მელიორაციის სამსახური	577573636	zviadmandaria@gmail.com
ზურაბ გუმაშვილი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	598951297	z.gumashvili@mrdi.gov.ge
ირაკლი სოხაძე	გეოგრაფიკი	595925552	irasokhadze@geographic.ge
მამუკა გვილავა	გეოგრაფიკი	599546616	mgvilava@iczm.ge
კობა კიკაბიძე	სტრატეგიული ინიციატივების სააგენტო	593950277	kobakik@yahoo.com
მალხაზ ცისკარიშვილი	სამეცნიერო -სამშენებლო ბიურო	595306703	Malkhaz.Tsiskarishvili@gmail.com
ოლეგ შატბერაშვილი	ESIDG (ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის)	577400487	shatberashvili@gmail.com
სოსო გოგოძე	ტექინფორმი	599294581	sosogogodze@yahoo.com
სოფიო მუჯირი	ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი	555955550	smujiri@sakpatenti.org.ge
